დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №31

2023 წლის 28 ნოემბერი

ქ. დმანისი

,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 23/01/2018; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.156.016301) დანართი №1-ში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ყულიაშვილი

დანართი №1

პოლიტიკური თანამდებობის პირები და მათი თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
1	საკრებულოს თავმჯდომარე	5457	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	4126	1
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	3594	2
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2928	5
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2662	
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	2130	

პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობათა დასახელება	რანგი	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
1	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი აპარატის უფროსი	I	3458	1
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვასა და საქმისწარმოების საკითხებში	III	1995	1
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	III	1995	1
4	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი შრომის უსაფრთხოების საკითხებში	III	1463	1